MES 5 22 0001118087

20/09/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს ცოდნა
ნაზი ნადირაძე

შპს ქართულ - ავსტრიული სკოლა ფესვები
სესილი გელოვანი

ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლა
ნანული წერეთელი

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School
ირმა მესხიშვილი
ლელა ფიცხელაური

შპს NK
ნუგზარ ყენია
ლიანა კობესაშვილი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
შპს ცოდნა
მარიამ ხუციშვილი
თეონა ყაჭეიშვილი

შპს ქართულ - ავსტრიული სკოლა ფესვები
ნანა მონიავა
მაკა ნადარეიშვილი

ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლა
ირინა დვალი
იზაბელა იოსელიანი

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School
ლელა ჯაში
თამარ ჩხიკვაძე

შპს NK
თამარ მიდელაშვილი
თეონა ყაჭეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 09 სექტემბერს

ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს ცოდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ - ავსტრიული სკოლა ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School -ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. შპს NK - ს ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ხელახლა განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ცოდნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, მარიამ ხუციშვილმა და თეონა ყაჭეიშვილმა. ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 15 და 16 ივლისს. მან აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის გამზირზე, N108-ში. ექსპერტის განცხადებით,

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩათვლილიყო პროექტებით სწავლება, რომელიც ყველა საფეხურსა და საგანში იყო დაგეგმილი და განხორციელებული. ექსპერტის თქმით, დაწესებულება აწყობდა გასვლით საგანმანათლებლო ექსკურსიებსა და საკლუბო აქტივობებს. მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 2021-2022 სასწავლო წლის კურიკულუმი, რომელიც თანხვედრაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სახელის შესწორებასთან დაკავშირებით, რადგან შპს ცოდნის ნაცვლად, სკოლის სახელწოდება მოიცავდა სკოლა-ლიცეუმსაც. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და დაიწყო ორმაგი სახელწოდების შესწორება.

ექსპერტ, თეონა ყაჭეიშვილის განცხადებით, სკოლა გამორჩეული იყო პროექტებით სწავლებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების ყველა კლასში იყო მაკეტები და შესაბამისი ინვენტარი. ექსპერტის თქმით, ისინი გაეცნენ კათედრების მუშაობას. მან აღნიშნა, რომ თითოეულ კათედრაზე იყო შემუშავებული მატრიცები და შემაჯამებელი დავალებები. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია საათობრივ ბადესთან დაკავშირებით, რომ ახალი კურიკულუმი შეეთანხმებინათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის განცხადებით, სკოლას რამდენიმე კათედრაზე არ ჰქონდა მშობელთა ბარათები და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რათა სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი აღნიშნული ბარათები ყველა კათედრაზე.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა საინტერესო არჩევითი საგნები. თუმცა, მისი განმარტებით, მეთორმეტე კლასში ისწავლებოდა „XIX-XX ს. დასავლური ლიტერატურა“, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლებოდა ორი სემესტრის განმავლობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2022-2023 სასწავლო წელს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაეთვალისწინებინა და მე-XII კლასში არჩევით საგნად მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინა ისეთი მოდულები, რომელთა პროგრამაც გათვლილი იყო ერთი სემესტრის პერიოდზე.

ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების საერთო ფართი შეადგენდა 1749,716მ²-ს, რომელიც სკოლას იჯარის ხელშეკრულებით ჰქონდა აღებული კოლეჯ მერმისისგან, ხოლო კოლეჯ მერმისს აღნიშნული ფართი უზურფრუქტის ხელშეკრულებით ჰქონდა გადაცემული სახელმწიფოსგან 5 წლის ვადით, 2021 წლიდან. შესაბამისად,დაწესებულებას ჰქონდა 4 წლიანი იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობის ვადა. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, იჯარის ხელშეკრულების ვადის გაზრდასთან ან ფართის უშუალოდ მათთვის გადაცემასთან დაკავშირებით. მარიამ ხუციშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ექსპერტებმა მიიჩნიეს ხარვეზად. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას შპს ცოდნამ განაცხადა, რომ სკოლამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 14 აპრილს საქართველოს პრემიერ მინისტრთან გააგზავნა მიმართვა და ელოდებოდა პასუხს.

ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას მთავარ შესასვლელთან დამონტაჟებული ჰქონდა პანდუსი, თუმცა მისი დახრა იყო შეუსაბამო გამოყენებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა მხრიდან დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, რათა შეეცვალა პანდუსის დახრილობის გრადუსი. ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა გასწორებული პანდუსის დამადასტურებელი ფოტომასალა.

ექსპერტ, მარიამ ხუციშვილის განცხადებით, დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია ექიმის კაბინეტთან დაკავშირებით, რადგან ოთახში არ იყო შირმა და სველი წერტილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს ცოდნამ ხარვეზი ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მარჯვენა მხარე და მეორე სართულზე კიბის უჯრედი არ კონტროლდებოდა კამერებით. მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაამონტაჟა კამერები, რომლის ამსახველი ფოტომასალაც გამოაგზავნა ცენტრში.

ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა განაცხადა, რომ მასწავლებლებს ხელშეკრულებები გაფორმებული ჰქონდათ 2022 წლის პირველ სექტემბრამდე ვადით. დაწესებულებამ რეკომენდაციის საფუძველზე ხელშეკრულებები გააფორმა 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ივლისამდე. მარიამ ხუციშვილის განმარტებით, ექსპერტებმა რეკომენდაცია გასცეს ექსკურსიებთან დაკავშირებით. მათი განცხადებით, სკოლის ვებ-გვერდზე იდებოდა ფოტოები და აღნიშნული პუნქტი, პირადი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით, არ არსებობდა მშობლებთან ხელშეკრულებებში. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას აღნიშნული პუნქტი გათვალისწინებული ჰქონდა მიმდინარე წლის იანვრის თვის ხელშეკრულებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს მერმისის პოზიციის შესახებ ფართთან დაკავშირებულ იჯარის ხელშეკრულებაზე. ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა უპასუხა, რომ კოლეჯ მერმისს არ ჰქონდა უფლება 5 წელზე მეტი ვადით გაეგრძელებინა იჯარის ხელშეკრულება, რადგან მას აღნიშნული ფართი სახელმწიფოს მხრიდან უზურფრუქტის ხელშეკრულებით ჰქონდა მიღებული.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რა სახის იყო მშობლებთან საკომუნიკაციო ბარათები.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული ბარათები იყო საინფორმაციო ხასიათის, რომელიც აღწერდა კომპლექსური დავალებების სტრუქტურას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, ვიზიტამდე გამოასწორა თუ არა დაწესებულებამ იანვრის თვიდან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც ასახული იყო პუნქტი პირადი მონაცემების დაცვის შესახებ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე ჩაასწორა იანვრის თვის ხელშეკრულებები.

საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, იყო თუ არა ექსკურსიების შინაარსობრივი მხარე საგანმანათლებლო-შემეცნებითი და არსებობდა თუ არა შესაბამისი დამადასტურებელი მასალები.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა უპასუხა, რომ თვითმმართველობა აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და შესაბამისად, მოსწავლეთა სურვილის მიხედვით ხდებოდა არაფორმალური აქტივობების შინაარსობრივი მხარის განსაზღვრაც.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაწესებულების ფართში ფუნქციონირებდა თუ არა კოლეჯ მერმისის პროფესიული სასწავლებელი.

ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ შპს ცოდნის ფართში არ ფუნქციონირებდა კოლეჯი მერმისი.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ჰქონდა თუ არა შპს ცოდნას კოლეჯ მერმისთან ერთად განხორციელებული ან სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნაზი ნადირაძემ აღნიშნა, რომ შპს ცოდნას და კოლეჯ მერმისს გასულ წლებში ჰქონდათ ერთობლივი პროექტები განხორციელებული, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის სტუდენტები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით გადიოდნენ პრაქტიკებს სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ აღნიშნული პრაქტიკა შეწყდა პანდემიის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ საბჭოს წევრებს შესთავაზა, დაწესებულებას მთავრობის მიერ მიღებული პასუხი იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოედგინა ცენტრში. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების

გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 450 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450- ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N92 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 12 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 12 სექტემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-7 პუნქტებისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ცოდნას (ს/კ: 209467673) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 12 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, მთავრობის მიერ მიღებული პასუხი იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიღებისთანავე წარმოედგინა ცენტრში.

საბჭოს სხდომას 15:35 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ია გიგიბერია.

2. შპს ქართულ - ავსტრიული სკოლა ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და მაკა ნადარეიშვილმა.
ექსპერტ, ნანა მონიავას განცხადებით, საავტორიზაციო ვიზიტი შპს ქართულ-ავსტრიულ სკოლა ფესვებში განხორციელდა მიმდინარე წლის 25 და 26 ივლისს. ექსპერტის თქმით, სკოლის მფლობელობაში იყო 1300 კვ.მ. ფართის მქონე ეზო, რომელიც, ასევე, მოიცავდა რეკრეაციულ ზონას. ნანა მონიავას თქმით, რეკრეაციულ ზონაში სკოლის წარმომადგენლების მიერ იგეგმებოდა ღია საკლასო სივრცის მოწყობა.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ სკოლა I-VI კლასის მოსწავლეებს უზრუნველყოფდა პორტფოლიოებით, სადაც ინახებოდა, როგორც მოსწავლეების ნამუშევრები, ასევე, ის რეკომენდაციები, რომლებიც ეძლეოდა თითოეულ მათგანს სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების გადასალახად. ექსპერტმა, აღნიშნული სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა. ნანა მონიავამ დაადასტურა, რომ სკოლა აკმაყოფილებდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის ყველა მოთხოვნას.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ სკოლაში მუშაობდა ხუთი უსტატუსო მასწავლებელი. მისი თქმით, ოთხ მასწავლებელთან დაკავშირებით სკოლას 2022 წლის 20 და 25 ივლისს გაგზავნილი ჰქონდა წერილები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.
ნანა მონიავას განმარტებით, სკოლის ინფრასტრუქტურა იყო მოწესრიგებული. მისი თქმით, დაწესებულება ფლობდა საცურაო აუზს, სპორტულ დარბაზსა და სპორტულ მოედნებს, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობდა ხელს. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში არსებული ადაპტირებული გარემო ინკლუზიური განათლების განხორციელების საშუალებას იძლეოდა.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ მოსწავლეთა მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლაში მიმდინარე სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვა სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს კითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1000 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ავსტრიული სკოლა ფესვების ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N95 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 12 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 12 სექტემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ-ავსტრიულ სკოლა ფესვებს (ს/კ: 211357020) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 12 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. ა(ა)იპ - წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ირინა დვალმა და იზაბელა იოსელიანმა. ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 28 და 29 ივლისს, ქ. ჭიათურაში. ექსპერტის განცხადებით, სკოლის დამფუძნებელი იყო საქართველოს საპატრიარქო. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლები სრულ მზადყოფნას გამოხატავდნენ რეკომენდაციების შესასრულებლად. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ცვლილებასთან დაკავშირებით, ექსპერტთა მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. ირინა დვალის განცხადებით, დაწესებულებას საათობრივი ბადის მესამე მოდელი არ ჰქონდა შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მისი თქმით, დაწესებულებაში მეორე უცხო ენად ისწავლებოდა რუსული ენა. მშობელთა კრების ოქმსა და ბარათებში დაფიქსირებული იყო, რომ

მშობლებს მეორე არჩევით ენად სურდათ გერმანული ენა. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას დაწესებულებამ განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა გერმანული ენის კადრი და გაითვალისწინებდა მშობლების სურვილს. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული სემესტრული გამოცდის ტიპი, თუმცა სკოლას აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული ჰქონდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ირინა დვალმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადებთან დაკავშირებით. დაწესებულებას შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადად განსაზღვრული ჰქონდა ჩატარებიდან 1 კვირა. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა ჩასწორებული დოკუმენტაცია, სადაც მოსწავლეს შემაჯამებელი დავალების აღდგენა შეეძლო ერთი სემესტრის განმავლობაში.

ექსპერტ, ირინა დვალის განმარტებით, სკოლა განთავსებული იყო ორ შენობაში. ორივე შენობის მესაკუთრე ჭიათურის მუნიციპალიტეტი იყო, რომელსაც უზურფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული ჰქონდა საჩხერის ეპარქიისთვის, ხოლო ეპარქიას აღნიშნული შენობები გადაცემული ჰქონდა უშუალოდ სკოლისთვის. ექსპერტმა განაცხადა, რომ ამ ორი შენობიდან, ერთ-ერთ შენობასთან დაკავშირებით გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას ვადა ჰქონდა გასული. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც 2014 წლის იჯარის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და სკოლას იჯარის ხელშეკრულების ვადა შეეცვალა 2030 წლამდე.

ექსპერტმა, ირინა დვალმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰყავდა ერთ-ერთ შენობაში ექიმი, თუმცა ვიზიტის პერიოდშივე სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა ყველა საჭირო ინვენტარი. ექსპერტებმა სკოლას ურჩიეს ყველა სტანდარტის დაცვით მოეწყოთ სამედიცინო კაბინეტი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 46 თანამშრომელი, მათგან 3 იყო მოწვეული, 32 უფროსი, ხოლო 3 მასწავლებელს ჰქონდა წამყვანი პედაგოგის სტატუსი.

ექსპერტმა, იზაბელა იოსელიანმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში იყო კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო.

ექსპერტმა, ირინა დვალმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა და დანერგილი პრაქტიკა, რომელსაც ახორციელებდა ბიბლიოთეკარი. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება მოსწავლეებს უფასოდ ურიგებდა წიგნებს, ხოლო დაზიანებულ სახელმძღვანელოებს აახლებდა ან ანაცვლებდა ახლით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე. მან აღნიშნა, რომ ძირითად კორპუსში სკოლას ჰყავდა ექიმი, ხოლო დაწყებითი კლასების კორპუსში რამდენიმე ექთანი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 380 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 380- ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ -ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლურ სკოლას (ს/კ: 215613361) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 380-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School -ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და თამარ ჩხიკვაძემ. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 05 აგვისტოს. სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ორ შენობაში. ლელა ჯაშის თქმით, დაწყებითი კლასების სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის ქუჩა N6-ში, რომელიც იყო 5 სართულიანი შენობა, ხოლო მეორე შენობა კი მდებარეობდა ასევე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირის მეორე ჩიხის N5-ში, სადაც ხორციელდებოდა სწავლება საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთათვის. ექსპერტის განცხადებით, ყურადღება გამახვილდა მეორე შენობის ინფრასტრუქტურაზე, სადაც იყო ნათელი სასწავლო ოთახები, მოწყობილი იყო სივრცეები მოსწავლეთათვის არაფორმალური განათლების მისაღებად. ლელა ჯაშის თქმით, სკოლა აღნიშნულ საკითხზე ინტენსიურად მუშაობდა, რაც დასტურდებოდა სკოლის ვებ-გვერდზე არსებული მასალითაც. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლის შენობა სრულად იყო აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, ხოლო ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ახალი, ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვა. ლელა ჯაშის განმარტებით, სკოლაში იყო გარე და შიდა სპორტული მოედნები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ ვიზიტის პერიოდში

გაცემული იყო რეკომენდაცია შინაგანაწესში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. კერძოდ, შინაგანაწესში იყო ჩანაწერი მოსწავლის გარეგნულ იერსახესთან დაკავშირებით, რომელიც სკოლამ გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება აღნიშნული რეკომენდაციის გამოსწორებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School - ის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School - ის (ს/კ: 404965169) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს NK - ს ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზ აციის საბჭოს მიერ ხელახლა განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საბჭოს ოქმსა და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სკოლის წარმომადგენელმა, ნუგზარ ყენიამ, განმარტა, რომ სკოლაში აღმოიფხვრა რიგი ხარვეზები. კერძოდ, დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა დაცვის თანამშრომლებთან, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ სკოლის პირველი და მეორე სართულის უსაფრთხოებაზე 08:30 - 17:30 საათების განმავლობაში. სკოლის წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებაში უცხო პირების შესვლა დაცვის სამსახურის მიერ გაკონტროლდებოდა. მისი განცხადებით, სკოლაში დამონტაჟებული იყო ვიდეო მეთვალყურეობის კამერები. შედეგად, კონტროლდებოდა კიბის უჯრედები და, ასევე, სკოლის მიმდებარე ტერიტორია. შენობის მესამე სართულზე, სკოლის შესასვლელთან დამონტაჟებული იყო რკინის კარი, რაც გამორიცხავდა სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლას. ნუგზარ ყენიას თქმით, დაწესებულების მესამე და მეოთხე სართული კონტროლდებოდა სკოლის

უსაფრთხოების მენეჯერისა და მორიგე მასწავლებლის მიერ. სკოლაში მომუშავე სკოლის უსაფრთხოების მენეჯერი, ასევე, პასუხისმგებელი იყო მოსწავლეების დახვედრასა და სწავლის პროცესის დასრულების შემდგომ მათ გაცილებაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ ყენიამ განმარტა, რომ შესაბამის სამსახურთან სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება გათბობის ქვაბების შესაბამისი წესით დამონტაჟებასთან დაკავშირებით. მან დაამატა, რომ სკოლას ამ მიმართულებით დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
ნუგზარ ყენიამ განაცხადა, რომ დაწესებულება მუშაობდა ალტერნატიული ფართის მოძიების თაობაზე, რის შედეგადაც, დაწესებულება მოლაპარაკებას აწარმოებდა ეკონომიკის სამინისტროსთან და, ასევე, სამომავლოდ აპირებდა თბილისის მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ სკოლის მოსწავლეების მობილობის საკითხი. კერძოდ, ავტორიზაციაზე უარის თქმის შედეგად სკოლამ მისი მოსწავლეები ამორიცხა თუ არა ბაზიდან და რას აპირებდა აღნიშნულთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ სკოლა მიიღებდა ავტორიზაციას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ნუგზარ ყენიამ განმარტა, რომ სკოლამ საბჭოს 2022 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, კერძოდ, ავტორიზაციაზე უარის შესახებ ინფორმაცია აცნობა მოსწავლეების მშობლებს. მისი თქმით, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი მობილობით გადავიდა სხვა სკოლაში, ხოლო ნაწილი დარჩა დაწესებულებაში და ირიცხებოდა მათ ბაზაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვა სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს კითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 260 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს NK-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 09 სექტემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს NK-ს (ს/კ: 200012743) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 09 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა